

სამცხე-ჯავახეთის /სამხრეთ საქართველო/ ვულკანური პროვინციის დიატომიტების საბადოების ასაკი და ფორმირების პირობები

ბ.თუთბერიძე, მ.ახალკაციშვილი

bejan.tutberidze@tsu.ge, mariam.akhalkatsishvili@tsu.ge

გეოლოგიის დეპარტამენტი, ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტი,
ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი,
უნივერსიტეტის ქუჩა 13, 0186, თბილისი, საქართველო

საქართველოს ტერიტორიაზე გამოვლინებულ დიატომიტის საბადოებიდან, მარაგებისა და ხარისხის თვალსაზრისით სამცხე-ჯავახეთის ვულკანური პროვინცია გამოირჩევა; პროვინციის ფარგლებში დიატომიტის ფორმირება განსხვავებულ სტრატოგრაფიულ დონეებზე მიმდინარეობს: გვიანმიოცენურ-ადრეპლიოცენურ და გვიანპლიოცენურ-ადრე-პლეისტოცენურ პერიოდში. პირველ ასაკობრივ ჯგუფში შედის სამცხის დიატომიტის საბადოები /ქისათიბი, ჭობარეთი/, მეორეში-ჯავახეთის დიატომიტის გამოვლინებები /სოფ. დილისკა/. ანალოგიურ ასაკობრივ ჯგუფებში ფორმირდება დიატომიტის შემცველი ტბიური აუზებიც; სედიმენტაციური აუზების ფორმირების შესაძლო მექანიზმებად განვიხილავთ ვულკანური ნაკადების მიერ პალეომდინარეების დაგუბებას. თუმცა არ გამოვრიცხავთ მათ ვულკანურ-ტექტონიკური გზით წარმოშობასაც. დიატომიტების საბადოს ფორმირების პროცესი მიმდინარეობს ტბიურ აუზებში წყალმცენარე-დიატომეების კაჟის ჯავშნის დალექვის გზით; სედიმენტაციურ აუზში კაჟმიწის არსებობის ორი მთავარი წყარო განიხილება: ვულკანური ამოფრქვევის პროდუქტების/განსაკუთრებით ვულკანური ფერფლი/ გახსნა და მეორე -აუზში კაჟმიწის შემცველი ჰიდროთერმული ხსნარების შემოტანა.